აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა
ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო



# ანგარიში

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ 2021 წლის 6 თვეში გატარებული ღონისძიებების შესახებ

2021 წელი

## სარჩევი

**ზოგადი მიმოხილვა ..... 3**
ცხრილი N 1 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა და ხვედრითი წილი რეგიონების მიხედვით 01.07.2021 ..... 3
დიაგრამა N 1 აფხაზეთიდან იგპ-თა ხვედრითი წილი განსახლების სახის მიხედვით 01.07.2021 ..... 3
ცხრილი N 2 კერძო სექტორსა და კოლექტიურ ცენტრებში განსახლებული აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა რეგიონულ ჭრილში 01.07.2021 ..... 4
ცხრილი N 3 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობის შედარება 2021/6თვე-2020/6თვე წ.წ. რეგიონების მიხედვით ..... 4
ცხრილი N 4 სოციალურად დაუცველ (მ.შ. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი) იგპ-თა რაოდენობა რეგიონების მიხედვით ..... 5
ცხრილი N 5 სოციალურად დაუცველ იგპ-თა რაოდენობის შედარება 2021/6თვე-2020/6თვე წ.წ. რეგიონების მიხედვით ..... 5
ცხრილი N 6 სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ იგპ-თა რაოდენობის შედარება 2021/6თვე-2020/6თვე წ.წ. რეგიონების მიხედვით ..... 6
ცხრილი N 7 საკუთრებაში გადაცემული ფართები რეგიონების მიხედვით 01.07.2021 ..... 6
ცხრილი N 8 2021 წ. 6 თვეში სოციალური მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები ..... 7
ცხრილი N 9 2021 წ. 6 თვეში ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ქვეპროგრამები ..... 7
**სოციალური სფერო ..... 11**
***ჯანდაცვა ..... 11***
ცხრილი N 10 სამინისტროს მიერ 2021 წლის I ნახევარში ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში გაწეული დახმარება ..... 15
***განათლება, კულტურა, სპორტი ..... 16***
**ეკონომიკური სფერო ..... 17**
ცხრილი N 11 აფხაზეთის საბიუჯეტო ორგანიზაციების მონაცემები შრომის შესახებ. 2021 წ. 6 თვეში ..... 17
**ქონების მართვა და პრივატიზება ..... 18**
***აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილით შექმნილი სამედიცინო დაწესებულებების 2020 წლის I ნახევრის ფინანსური შედეგები ..... 19***
ცხრილი N 12 საწარმოების ფინანსური მაჩვენებლების შეხდარება 2021/6თვე-2020/6თვე ..... 19
***საქვეუწყებო-დაწესებულება აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი ..... 20***
***სსიპ ,,პროგრამებისა და სერვისების მართვის სააგენტო“ ..... 22***
***სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნესინკუბატორი“ ..... 24***
ცხრილი N 13 სსიპ ,,ბიზნესინკუბატორის”ფინანსური მაჩვენებლები 2021 წლის 6 თვეში ..... 25
**აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა ..... 26**
**ა(ა)იპ საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის .. 27**
**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი ..... 29**
ცხრილი N 14 2021 წლის 6 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები ..... 29
დიაგრამა N 2 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2021/6 თვე ..... 29
დიაგრამა N 3 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების შედარება 2021/6 თვე -2020/6 თვე ..... 30
ცხრილი N 15 2021 წლის 6 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების მაჩვენებლები 30

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია 2021 წლის I ნახევრის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან მიღებული მასალების საფუძველზე. ანგარიში განსახილველად წარედგინება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

## ზოგადი მიმოხილვა

2021 წლის 1 ივლისისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ აფხაზეთიდან იგპ-თა საერთო რაოდენობა შეადგენდა 250 373-ს.

**ცხრილი N 1** აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა და ხვედრითი წილი რეგიონების მიხედვით 01.07.2021

| N | რეგიონი | რაოდენობა, პირი | ხვ. წილი,% | კოლექტიური ცენტრი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| ***1*** | ***სულ საქართველოში*** | ***250373*** | ***100*** | ***518*** |
| **2** | **სულ აღმოსავლეთ საქართველოში** | **123519** | **49,3** | **136** |
| 3 | ქ. თბილისი | 106381 | 42,5 | 103 |
| 4 | ქვემო ქართლი | 10099 | 4,0 | 12 |
| 5 | შიდა ქართლი | 2390 | 1,0 | 13 |
| 6 | მცხეთა-მთიანეთი | 966 | 0,4 | 1 |
| 7 | კახეთი | 1315 | 0,5 | 5 |
| 8 | სამცხე-ჯავახეთი | 2368 | 0,9 | 2 |
| **9** | **სულ დასავლეთ საქართველოში** | **126854** | **50,7** | **382** |
| 10 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 90160 | 36,0 | 308 |
| 11 | აჭარა | 7537 | 3,0 | - |
| 12 | იმერეთი | 27838 | 11,1 | 65 |
| 13 | რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი | 753 | 0,3 | 9 |
| 14 | გურია | 566 | 0,2 | - |

კომპაქტურად ჩასახლებული იყო 19 688 (7,9%), ხოლო კერძო სექტორში – 230 685 პირი (92,1%).

**დიაგრამა N 1** აფხაზეთიდან იგპ-თა ხვედრითი წილი განსახლების სახის მიხედვით 01.07.2021



**ცხრილი N 2** კერძო სექტორსა და კოლექტიურ ცენტრებში განსახლებული აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა რეგიონულ ჭრილში 01.07.2021

| N | რეგიონი | კერძო სექტორი | კომპაქტ. განსახლებული |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| ***1*** | ***სულ საქართველოში*** | ***230685*** | ***19688*** |
| **2** | **სულ აღმოსავლეთ საქართველოში** | **118940** | **4579** |
| 3 | ქ. თბილისი | 102616 | 3765 |
| 4 | ქვემო ქართლი | 9731 | 368 |
| 5 | შიდა ქართლი | 2276 | 114 |
| 6 | მცხეთა-მთიანეთი | 951 | 15 |
| 7 | კახეთი | 1277 | 38 |
| 8 | სამცხე-ჯავახეთი | 2089 | 279 |
| **9** | **სულ დასავლეთ საქართველოში** | **111745** | **15109** |
| 10 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 79860 | 10300 |
| 11 | აჭარა | 7537 | - |
| 12 | იმერეთი | 23163 | 4675 |
| 13 | რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი | 619 | 134 |
| 14 | გურია | 566 | - |

2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იგპ-თა საერთო რაოდენობა გაიზარდა 1 119 პირით ანუ 0,05%-ით.

**ცხრილი N 3** აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობის შედარება 2021/6თვე-2020/6თვე წ.წ. რეგიონების მიხედვით

მატება შემცირება

| N | რეგიონი | 2021/6თვე | 2020/6თვე | +/- |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| ***1*** | ***სულ საქართველოში*** | ***250373*** | ***249254*** | ***1119*** |
| **2** | **სულ აღმოსავლეთ საქართველოში** | **123519** | **122602** | **917** |
| 3 | ქ. თბილისი | 106381 | 105592 | 789 |
| 4 | ქვემო ქართლი | 10099 | 10085 | 14 |
| 5 | შიდა ქართლი | 2390 | 2389 | 1 |
| 6 | მცხეთა-მთიანეთი | 966 | 957 | 9 |
| 7 | კახეთი | 1315 | 1311 | 4 |
| 8 | სამცხე-ჯავახეთი | 2368 | 2268 | 100 |
| **9** | **სულ დასავლეთ საქართველოში** | **126854** | **126652** | **202** |
| 10 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 90160 | 90085 | 75 |
| 11 | აჭარა | 7537 | 7524 | 13 |
| 12 | იმერეთი | 27838 | 27723 | 115 |
| 13 | რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი | 753 | 754 | -1 |
| 14 | გურია | 566 | 566 | 0 |

2021 წლის 01 ივლისის მდგომარეობით, აფხაზეთიდან იგპ-თა შორის სოციალურად დაუცველი იყო სულ 48 822 პირი, მათ შორის სიღარიბის ზღვარს მიღმა - 16 544.

**ცხრილი N 4** სოციალურად დაუცველ (მ.შ. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი) იგპ-თა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

| N | რეგიონი | სოციალურად დაუცველი | მ.შ. სიღარიბის ზღვარს მიღმა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| ***1*** | ***სულ საქართველოში*** | ***48822*** | ***16544*** |
| **2** | **სულ აღმოსავლეთ საქართველოში** | **22577** | **7827** |
| 3 | ქ. თბილისი | 18259 | 6531 |
| 4 | ქვემო ქართლი | 2392 | 841 |
| 5 | შიდა ქართლი | 557 | 176 |
| 6 | მცხეთა-მთიანეთი | 147 | 28 |
| 7 | კახეთი | 361 | 110 |
| 8 | სამცხე-ჯავახეთი | 591 | 141 |
| **9** | **სულ დასავლეთ საქართველოში** | **26245** | **8717** |
| 10 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 18872 | 6780 |
| 11 | აჭარა | 1143 | 335 |
| 12 | იმერეთი | 5796 | 1491 |
| 13 | რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი | 291 | 69 |
| 14 | გურია | 143 | 42 |

2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სოციალურ დაუცველ იგპ-თა საერთო რაოდენობა გაიზარდა 5 829 პირით ანუ 13,6%-ით.

**ცხრილი N 5** სოციალურად დაუცველ იგპ-თა რაოდენობის შედარება 2021/6თვე-2020/6თვე წ.წ. რეგიონების მიხედვით

მატება

| N | რეგიონი | 2021/6თვე | 2020/6თვე | +/- |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| ***1*** | ***სულ საქართველოში*** | ***48822*** | ***42993*** | 5829 |
| **2** | **სულ აღმოსავლეთ საქართველოში** | **22577** | **19180** | 3397 |
| 3 | ქ. თბილისი | 18259 | 15705 | 2554 |
| 4 | ქვემო ქართლი | 2392 | 2031 | 361 |
| 5 | შიდა ქართლი | 557 | 534 | 23 |
| 6 | მცხეთა-მთიანეთი | 147 | 120 | 27 |
| 7 | კახეთი | 361 | 304 | 57 |
| 8 | სამცხე-ჯავახეთი | 591 | 486 | 105 |
| **9** | **სულ დასავლეთ საქართველოში** | **26245** | **23813** | 2432 |
| 10 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 18872 | 16934 | 1938 |
| 11 | აჭარა | 1143 | 1022 | 121 |
| 12 | იმერეთი | 5796 | 5473 | 323 |
| 13 | რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი | 291 | 253 | 38 |
| 14 | გურია | 143 | 131 | 12 |

**ცხრილი N 6** სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ იგპ-თა რაოდენობის შედარება 2021/6თვე-2020/6თვე წ.წ. რეგიონების მიხედვით

| N | რეგიონი | 2021/6თვე | 2020/6თვე | +/- |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| ***1*** | ***სულ საქართველოში*** | ***16544*** | ***13642*** | **2902** |
| **2** | **სულ აღმოსავლეთ საქართველოში** | **7827** | **6468** | **1359** |
| 3 | ქ. თბილისი | 6531 | 5343 | 1188 |
| 4 | ქვემო ქართლი | 841 | 697 | 144 |
| 5 | შიდა ქართლი | 176 | 180 | -4 |
| 6 | მცხეთა-მთიანეთი | 28 | 31 | -3 |
| 7 | კახეთი | 110 | 89 | 21 |
| 8 | სამცხე-ჯავახეთი | 141 | 128 | 13 |
| **9** | **სულ დასავლეთ საქართველოში** | **8717** | **7174** | **1543** |
| 10 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 6780 | 5422 | 1358 |
| 11 | აჭარა | 335 | 305 | 30 |
| 12 | იმერეთი | 1491 | 1366 | 125 |
| 13 | რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი | 69 | 49 | 20 |
| 14 | გურია | 42 | 32 | 10 |

საცხოვრებელი ფართი კერძო საკუთრებაში დაუმტკიცდა სულ 22 869 ოჯახს (63 439 პირი).

**ცხრილი N 7** საკუთრებაში გადაცემული ფართები რეგიონების მიხედვით 01.07.2021

| N | რეგიონი | ოჯახების რაოდენობა, პირი | ოჯახებში დევნილთა რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| ***1*** | ***სულ საქართველოში*** | ***22869*** | ***63439*** |
| **2** | **სულ აღმოსავლეთ საქართველოში** | **14928** | **38368** |
| 3 | ქ. თბილისი | 12698 | 33819 |
| 4 | ქვემო ქართლი | 981 | 2629 |
| 5 | შიდა ქართლი | 452 | |
| 6 | მცხეთა-მთიანეთი | 176 | 473 |
| 7 | კახეთი | 114 | 311 |
| 8 | სამცხე-ჯავახეთი | 507 | 1136 |
| **9** | **სულ დასავლეთ საქართველოში** | **7941** | **25071** |
| 10 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 3815 | 10890 |
| 11 | აჭარა | 951 | 2895 |
| 12 | იმერეთი | 3168 | 11266 |
| 13 | რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი | 7 | 20 |
| 14 | გურია | - | - |

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო 2021 წლიდან ახორციელებდა აფხაზეთიდან დევნილთა სოციალური მხარდაჭერისა და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროგრამებს.

**ცხრილი N 8** 2021 წ. 6 თვეში სოციალური მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები

ლარი

| პროგრამა | ჯამური ფინანს.რეს. | გეგმა | ათვის. თანხა | აქტივობა |
|---|---|---|---|---|
| დევნილთა სოციალური უზრუნველყოფა | 295 000,0 | 295 000,0 | 295 000,0 | განხილულ იქნა 2160 განცხადება; ფინანსური დახმარება გაეწია 1865 ბენეფიციარს (ოჯახს). |
| დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 60 000,0 | 25 000,0 | 15 870,0 | განხილულ იქნა 59 განცხადება; დაფინანსდა 47 ბენეფიციარი |
| აფხაზეთიდან დევნილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მხარდაჭერა | 50 000,0 | 30 000,0 | 30 000,0 | განხილულ იქნა 218 განცხადება; დაფინანსდა 181 ბენეფიციარი. |
| აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანობა/აბონირება | 25 000,0 | 12 500,0 | 9 000,0 | განხილულ იქნა 16 განცხადება;დაფინანსდა 16 ბენეფიციარი |
| ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერა | 45 000,0 | - | - | მომზადდა პროცედურები პროგრამის განსახორციელებლად |
| სოციალური სოლიდარობა | 15 000,0 | 15 000,0 | 14 909,0 | აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 300 მძიმე სოციალური კატეგორიის ოჯახს გაეწია დახმარება სასურსათე პროდუქტების სახით. საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 27 ბენეფიციარს (მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერან პენსიონერს) გაეწია დახმარება სასურსათე პროდუქტების სახით |

**ცხრილი N 9** 2021 წ. 6 თვეში ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ქვეპროგრამები

ლარი

| ქვეპროგრამა | ჯამური ფინანს.რეს. | გეგმა | ათვის. თანხა |
|---|---|---|---|
| დევნილთა განსახლების ობიექტებში წყალკანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია | 90 000,0 | - | - |
| დევნილთა განსახლების ობიექტებში სახურავების აღდგენა/გამოცვლა | 90 000,0 | - | - |
| ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობაში თანამონაწილეობა | 20 000,0 | - | - |
| დევნილთა საცხოვრებლებში მცირე | 35 000,0 | 24 500,0 | - |

| | | | |
|---|---|---|---|
| ფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფა | | | |
| დევნილთა განსახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა | 50 000,0 | 25 000,0 | - |
| აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარება | 25 000,0 | - | - |

პროგრამების/ქვეპროგრამების განსახორციელებლად სამინისტროსთვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში გამოყოფილ იქნა სულ 800 000,0 ლარი.

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ა/რ სახელმწიფო ორგანოებსა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, კომპეტენციის ფარგლებში, გაეწია კონსულტაციები იურიდიული ხასიათის. მომზადებულ იქნა დოკუმენტები (სასარჩელო განცხადება, წერილის პროექტები) სასამართლოში და შესაბამის ორგანოებში წარდგენის მიზნით (სტაჟის დადგენა, დევნილის სტატუსის აღდგენა, საცხოვრებელი ფართის დაკანონება, აფხაზეთში დაღუპვისა და უგზო–უკვლოდ დაკარგულის სტატუსის დადგენა, ქორწინების აქტის აღდგენა, სააქტო ჩანაწერში (დაბადების) არსებული ხარვეზის გამოსწორება და სხვ). Covid-19 პანდემიისა და ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ცხელი ხაზის მეშვეობით განხორციელდა 38 სატელეფონო კონსულტაცია (პანდემიის შედეგად დაზარალებულთა კომპენსაციის მიღების თაობაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის დამატებითი ფინანსური დახმარების შესახებ, სხვ.) ასევე დისტანციურად:

– დევნილი სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიმართა ლექცია თემაზე - „ქოუჩინგი წარმატებისთვის“;

– გაიმართა საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან თემაზე „ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება“.

აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა ინტერესების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებები:

– ,,დევნილები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობაში“;

– ,,დევნილთა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირთა სამართლებრივი დახმარება“.

სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით, მინისტრის აპარატმა, როგორც აღნიშნული მიმართულებებით მაკოორდინირებელმა უწყებამ განახორციელა აფხაზეთის კანონმდებლობის ნორმატიული ბაზის შიდა შესაბამისობა (ურთიერთთავსებადობა) და ასევე, უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან აფხაზეთის კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფა.შესაბამისად, ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზისა და შესათანხმებლად წარმოდგენილი ნორმატიული აქტების პროექტების შესწავლის შედეგად, შესაძლებელი გახდა დევნილთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. კერძოდ, „აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტზე ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზების შედეგად, უზრუნველყოფილ იქნა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე (ოჯახებზე) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა. ასევე, ,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტის სამართლებრივი ექსპერტიზის საფუძველზე, უზრუნველყოფილ იქნა დევნილთათვის გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სახის სარემონტო სამუშაოს ჩატარება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, შესწავლილ იქნა ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთადევნილთა სამინისტროს სოციალური მხარდაჭერისა და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ'' აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა -დევნილთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც მომზადებულ იქნა შესაბამისი სამართლებრივი დასკვნა.

ასევე, საანგარიშო პერიოდში შესწავლილ იქნა ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთადევნილთა სამინისტროს სოციალური მხარდაჭერისა და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ'' აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც მომზადებულ იქნა შესაბამისი სამართლებრივი დასკვნა. ანალოგიური მიზნით შესწავლილ იქნა:

– „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიის დაწესებისა და მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 12 სექტემბრის #11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;

– „გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2009 წლის 22 იანვრის #1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;

– „დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების დაწესებისა და დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის #12 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;

– „ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი და სხვა.

ზემოაღნიშნული პროექტების შესწავლისა და მათი საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდეგ, შესაძლებელი გახდა უფლებამოსილი

დაწესებულებების მიერ კანონშესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე დევნილთა მიმართ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება.

მომზადებულ იქნა:

– „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი;

– „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ტერიტორიაზე მცხოვრები პირების საქართველოს მოქალაქეობის დადგენის შესახებ განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 იანვრის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;

– „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;

– ,,საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების დეკლარირებისა და აღრიცხვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 აგვისტოს №400 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;

– „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;

– „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;

– „არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;

– „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;

– „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტებში გაეროს რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მომართვის საფუძველზე, შესწავლილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკის დოკუმენტები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომელთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე განისაზღვრა ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული, გაეროს რეკომენდაციებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებებით საქმიანობის გაძლიერება და გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში:

- ქვეპროგრამის „აფხაზური ისტორიის სახლი“ ფარგლებში:

➢ დაიგეგმა და მომზადდა ღონისძიება „აფხაზეთი გვაერთიანებს“, რომლის მიზანი იყო ქართულაფხაზური უნიკალური ურთიერთობების წარმოჩენა;

➢ მომზადდა პროექტი „ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული სივრცის მოწყობა“, რომლის მიზანი იყო შეიქმნას ერთიანი ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული სივრცე, სადაც გათვალისწინებული იქნება ლექციების, გამოფენების, ფორუმების და ა.შ. მოწყობა;

- ქვეპროგრამის „სამშვიდობო რესურსი - ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდაჭერა“ ფარგლებში მომზადდა პროექტი “მუჰაჯირების ნაკვალევზე“;
- ქვეპროგრამის ,,სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა“ფარგლებში, დაიგეგმა და განხორციელდა ღონისძიება „საბჭოთა ოკუპაციის 100 წლისთავი“, რომლის მიზანი იყო დევნილი საზოგადოების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შესახებ, ისეთი გამოფენის ორგანიზება, რომელიც ასახავდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ისტორიულ ფაქტებს, მათ შორის მის მძიმე შედეგებს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. აღნიშნულის საფუძველზე, მომზადდა და დაიბეჭდა საგამოფენო მასალები, ქ. ზუგდიდში გაიმართა გასვლითი სამუშაო შეხვედრები დევნილი სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან და ზუგდიდის სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრის ბენეფიციარებთან, ქ. ზუგდიდის სამხატვრო გალერეაში მოეწყო რამდენიმე ფოტო გამოფენა სახელწოდებით ,,საბჭოთა ოკუპაციის 100 წლისთავი“, „აფხაზეთი დღეს“ და ,,მუჰაჯირობა“;
- ქვეპროგრამის „მშვიდობის ლაბორატორია“ ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა ღონისძიება „ქალი და მშვიდობა“, რომლის მიზანი იყო იმ ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება, რომლებიც ხელს უწყობენ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებს, მშვიდობის მშენებლობას, ნდობის აღდგენასა და შერიგებას. ღონისძიების ფარგლებში სიმბოლური საჩუქრები გადაეცა აფხაზეთის ომში მონაწილე სამედიცინო სფეროში მომუშავე 20 ქალბატონს;
- ქვეპროგრამის ,,სამშვიდობო რესურსი - ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდაჭერა“ ფარგლებში:
  - შემუშავდა, დაიგეგმა და გამოცხადდა ესეების კონკურსი სახელწოდებით “ჩემი აფხაზეთი“;
  - მომზადდა და გაფორმდა მემორანდუმი შპს ილორის წმინდა გიორგის ტაძართან, რომლის მიზანია შეიქმნას ერთიანი ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული სივრცე, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება აფხაზეთის საზოგადოებისთვის.

## სოციალური სფერო

### *ჯანდაცვა*

2021 წლის I ნახევარში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აფხაზეთის მოსახლეობისათვის სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მიღმა არსებული სადიაგნოსტიკო-სამკურნალო სერვისის ცალკეული სახეების ხელმისაწვდომობის მიზნით, ბიუჯეტის ფარგლებში, ახორციელებდა სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამებს.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ მოქალაქეთა ამბულატორიული დახმარების პროგრამა (ბიუჯეტი 300 000,0 ლარი)*

| | დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა | ეპიზოდი | ანაზღ. თანხა, ლარი | შესრულება % |
|---|---|---|---|---|
| 2021/6 თვე | 821 | 1 451 | 178 295,0 | 60 |

პროგრამა მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს:

➢ ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული მომსახურების კომპონენტის პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 157 750 ლარი და მოიცავდა 608 ეპიზოდის დაფინანსებას, მათ შორის: მრტ - 535 ეპიზოდი, მრტ კონტრასტით - 26 ეპიზოდი, მრტ ანგიორეჟიმით - 37 ეპიზოდი, მრტ ანესთეზიით - 10 ეპიზოდი. ხორციელდებოდა შპს ,,კავკასიის მედიცინის ცენტრში“.

| | დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა | ეპიზოდი | ანაზღ. თანხა, ლარი | შესრულება % |
|---|---|---|---|---|
| 2021/6 თვე | 270 | 335 | 87 720,0 | 56 |

➢ კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის კომპონენტის ბიუჯეტმა შეადგინა 56 400,0 ლარი და ითვალისწინებდა 350 ეპიზოდის დაფინანსებას, მათ შორის: კომპიუტერული ტომოგრაფია ანგიოგრაფიით (კონტრასტით) - 20 ეპიზოდი, კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტით - 250 ეპიზოდი, კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტის გარეშე - 80 ეპიზოდი. ხორციელდებოდა შპს ,,კავკასიის მედიცინის ცენტრში“.

| | დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა | ეპიზოდი | ანაზღ. თანხა, ლარი | შესრულება % |
|---|---|---|---|---|
| 2021/6 თვე | 164 | 246 | 39 300,0 | 70 |

➢ ინსტრუმენტული გამოკვლევების კომპონენტის პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 15 630,0 ლარი და ითვალისწინებდა 370 ეპიზოდის დაფინანსებას. კერძოდ: თავის ტვინის (ინტრა და ექსტრაკრანიალური) სისხლძარღვთა დოპლეროგრაფია - 90 ეპიზოდი, ორივე ქვედა კიდურის სისხლძარღვთა დოპლეროგრაფია - 90 ეპიზოდი; ციფრული რენტგენოგრაფია - 100 ეპიზოდი; ართროექოსკოპია - 40 ეპიზოდი, ექოკარდიოგრაფია - 50 ეპიზოდი. ხორციელდებოდა შპს ,,კავკასიის მედიცინის ცენტრში“.

| | დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა | ეპიზოდი | ანაზღაურებული თანხა, ლარი | შესრულება % |
|---|---|---|---|---|
| 2021/6 თვე | 176 | 264 | 10 662,0 | 70 |

➢ ენდოსკოპიური გამოკვლევის კომპონენტი პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 8 850,0 ლარი და მოიცავდა 80 ეპიზოდის დაფინანსებას, კერძოდ: ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია ანესთეზიით - 8 ეპიზოდი, ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია ანესთეზიის გარეშე - 51 ეპიზოდი, კოლონოსკოპია ანესთეზიით - 21 ეპიზოდი. ხორციელდებოდა ,,ავერსის კლინიკაში“.

| | დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა | ეპიზოდი | ანაზღ. თანხა, ლარი | შესრულება % |
|---|---|---|---|---|
| 2021/6 თვე | 71 | 77 | 8 575,0 | 97 |

➢ ლაბორატორიული გამოკვლევის კომპონენტის პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 5 315,0 ლარი და ითვალისწინებდა 277 ეპიზოდის დაფინანსებას. კერძოდ: კოაგულოგრამა

- 80 ეპიზოდი, D დიმერი - 85 ეპიზოდი, C რეაქტიული ცილა - 65 ეპიზოდი, ლიპიდური სპექტრი - 47 ეპიზოდი. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გახდა „მედიქალ ვორლდ დიაგნოსტიკი“.

| | დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა | ეპიზოდი | ანაზღ. თანხა, ლარი | შესრულება % |
|---|---|---|---|---|
| 2021/6 თვე | 90 | 230 | 4 368,0 | 82 |

➢ <u>აბილიტაციისა და სამკურნალო რეაბილიტაციის კომპონენტის</u> პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 29 400,0 ლარი და ითვალისწინებდა 70 ბენფიციარის დაფინანსებას. ხორციელდებოდა შპს ,,თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტში“. პროგრამა წარმოდგენილი იყო ორი ქვეკომპონენტით:

– *აბილიტაციის კომპონენტი* - ექიმი-ნევროლოგის კონსულტაცია და, საჭიროების მიხედვით, ოკუპაციური თერაპია, მეტყველების თერაპია, ფსიქოთერაპია და ქცევითი თერაპია;

– *სამკურნალო რეაბილიტაციის კომპონენტი* - ექიმ-რეაბილიტოლოგის კონსულტაცია და, საჭიროების მიხედვით, ფიზიკური თერაპია (მასაჟი, ვარჯიში), აპარატურული ფიზიოთერაპია და ჰიდროკინეზოთერაპია.

| | დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა | ეპიზოდი | ანაზღ. თანხა, ლარი | შესრულება % |
|---|---|---|---|---|
| 2021/6 თვე | 41 | 281 | 5 620,0 | 19 |

➢ <u>მხედველობის ორგანოს ექსიმერული ლაზერული კორექციის კომპონენტის პროგრამის</u> ბიუჯეტი განისაზღვრა 24 500,0 ლარით და თვალის რეფრაქციული ანომალიების კორექციას ექსიმერული ლაზერით, ექიმის კონსულტაციისა და წინასაოპერაციო კვლევების გათვალისწინებით - 20 ეპიზოდის დაფინანსებას. ხორციელდებოდა შპს ,,ახალ მზერაში“.

| | დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა | ეპიზოდი | ანაზღ. თანხა, ლარი | შესრულება % |
|---|---|---|---|---|
| 2021/6 თვე | 9 | 18 | 22 050,0 | 90 |

➢ <u>კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევები დასავლეთ საქართველოს რეგიონში კომპონენტის პროგრამა</u> ითვალისწინებს მაღალტექნოლოგიური კვლევის გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 12 000,0 ლარით და ითვალისწინებდა კომპიუტერულ ტომოგრაფიული კვლევის დაფინანსებას კონტრასტით და კონტრასტის გარეშე (60 ეპიზოდი), მათ შორის: კომპიუტერული ტომოგრაფია – 30 ეპიზოდი, კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტით - 30 ეპიზოდი. ტენდერი არ შედგა.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხორებ მოქალაქეთა ჰოსპიტალური დახმარების პროგრამა (ბიუჯეტი 100 000,0 ლარი)*

პროგრამა წარმოდგენილი იყო 2 კომპონენტით:

➢ <u>მენჯ-ბარძყის ენდოპროთეზირების კომპონენტის</u> პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 93 100,0 ლარით და ითვალისწინებდა 19 ეპიზოდის დაფინანსებას.

პროგრამის რეალიზაციის მიზნით 5-ჯერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე, რომელიც დასრულდაუარყოფითი შედეგებით. პროგრამა ვერ განხორციელდა. მომსახურების დროულად და შეუფერხებლად მიწოდების მიზნით მენჯ-ბარძაყის სახსრის ენდოპროთეზირება 14 ბენეფიციარს (საპენსიო ასაკამდე) სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში, მოთხოვნის შესაბამისად ,დაუფინანსდათ სამინისტროს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამის“,,ჰოსპიტალური მომსახურების, ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობისა და სტაციონარულ პირობებში დიაგნოსტიკის თანადაფინანსების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში თანადაფინანსების წესის მიხედვით. სამინისტროში ბენეფიციართა მომართვიანობა ამ სახის მომსახურებაზე მოთხოვნადია.

- <u>კორონარული ანგიოგრაფიის კომპონენტის</u> პროგრამის ბიუჯეტინ განისაზღვრა 6 000,0 ლარით და ითვალისწინებდა 12 ეპიზოდის დაფინანსებას. პროგრამა ხორციელდებიდა შპს ,,ავერსის კლინიკაში“.

| | დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა | ანაზღ. თანხა, ლარი |
|---|---|---|
| 2021/6 თვე | 6 | 3 000,0 |

ვინაიდან პროგრამა ამუშავდა ივნისის თვიდან, დაწესებულებამ სამინისტროში დოკუმენტაცია შესრულებული სამუშაოს თაობაზე ვერ წარმოადგინა.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა (ბუიჯეტი 715 000,0 ლარი)*

პროგრამა წარმოდგენილი იყო რამდენიმე კომპონენტით:

- <u>ჰოსპიტალური მომსახურების, ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობისა და სტაციონარულ პირობებში დიაგნოსტიკის თანადაფინანსების ხელშეწყობა (ბიუჯეტი - 520 000,0 ლარი)</u>

| | დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა | ანაზღ. თანხა, ლარი |
|---|---|---|
| 2021/6 თვე | 580 | 519 814,0 |

- <u>ონკოპაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხელშეწყობის პროგრამა (ბიუჯეტი - 70 000,0 ლარი).</u> პროგრამა მოიცავდა 3 კომპონენტის მომსახურების დაფინანსებას:

– სხივური თერაპიის თანადაფინანსების კომპონენტი

– ქიმიო და ჰორმონოთერაპიის (მანიპულაცია+მედიკამენტი) თანადაფინანსების კომპონენტი

– სპეციფიკური მედიკამეტებით (ტარგეტული, იმუნოთერაპიული, ბისფოსფონატები და ა.შ) უზრუნველყოფის თანადაფინანსების კომპონენტი.

| | დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა | ეპიზოდი | ანაზღაურებული თანხა, ლარი | შესრულება % |
|---|---|---|---|---|
| 2021/6 თვე | 27 | **35**<br>მათ შორის:<br>22 - სპეციფიკური | 33 915,91 | 48 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მედიკამენტებით უზრუნველყოფის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში; 12 - ქიმიოდა ჰორმონოთერაპიის (მანიპულაცია+მედიკამენტი) თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში; 1- სხივური თერაპიის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში | | |

➢ <u>აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ COVID სტაციონარების მედიკამენტებით მხარდაჭერის პროგრამა</u>

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 100 000,0 ლარს და ითვალისწინებდა 27 დასახელების მედიკამენტების სახელმწიფო შესყიდვას. საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ კონსოლიდირებული ტენდერებით შესყიდულ იქნა 29 861,030 ლარის 17 დასახელების მედიკამენტი, საიდანაც ოკუპირებული აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებს გადაეცა 12 188,40 ლარის 15 დასახელების მედიკამენტი. სამინისტროს ბალანსზეა დარჩენილი 17 672,90 ლარის 16 დასახელების მედიკამენტი.

➢ <u>მიზნობრივი საჯარო სკოლების მოსწავლეთა მრავალპროფილური სკრინინგული კვლევის პროგრამის</u> ბიუჯეტმა შეადგინა 100 000,00 ლარი. ითვალისწინებდა გამყოფი ხაზის (სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონი) სოფლების სკოლების, აფხაზეთის საჯარო სკოლების და დევნილ მოსწავლეთა მაღალი კონტინგენტის საჯარო სკოლების მოსწავლეების გამოკვლევას. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 5 ღონისძიება 10 საჯარო სკოლაში. მომსახურება (სხვადასხვა პროფილის ექიმების კონსულტაცია/ გამოკვლევები) გაეწია 1041 მოსწავლეს. გაიცა 954 ცალი სასჩუქრე ნაკრები. ანაზღაურებული თანხა შეადგენს 39 203.74 ლარს, რაც ბიუჯეტის 40%.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმების და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადების პროგრამა (ბუიჯეტი 5 000,0 ლარი)*

პროგრამის განხორციელება იგეგმება მიმდინარე წლის მე-III კვარტალში.

**ცხრილი N 10** სამინისტროს მიერ 2021 წლის I ნახევარში ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში გაწეული დახმარება

| ბენეფ. რაო-ბა სულ | ჯანდაცვითი პროგრ. ფარგლებში | სოც. მხარდაჭერის პროგრ. ფარგლებში |
|---|---|---|
| **2 475** | 827 (1 457 ეპიზოდი) | 1 648 |

სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას კვლავ წარმოადგენდა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზი მოქალქეებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი, განსახლება და შექმნილი პრობლემების დროს დაუყოვნებელი რეაგირება.

2021 წლის I ნახევარში რეფერალური ობიექტით (საცხოვრისი) ისარგებლა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებმა 21-მა ბენეფიციარმა თანმხლებ პირებთან ერთად. თითოეული მოსარგებლის ჩასახლება აღნიშნულ ობიექტზე განხორციელდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური ობიექტით სარგებლობის წესი“-ს (მინისტრის ბრძანება №46, 19.02.2016წ.) შესაბამისად.

სამინისტროს შუამდგომლობით არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მიერ 10 შშმ პირს გადაეცა ეტლ-სავარძელი. სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული საორგანიზაციო საკითხებში (პაციენტის აფხაზეთ - სამეგრელოს ადმინისტრაციულ საზღვარზე გადმოყვანა, სპეციალიზირებულ კლინიკებში მათი განთავსებაი და სამედიცინო მომსახურების მონიტორინგი). სამედიცინო მომსახურების (მკურნალობა) დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით სამინისტრო შუამდგომლობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან. ამასთან, იღებდა ვალდებულებებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებთათვის თანანდაფინანსების თაობაზე. საანგარიშო პერიოდში სამინისტროს ,,რეფერელური დახმარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში კომისიურად დაფინანსდა 411 ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეობის არ მქონე პირი.

***განათლება, კულტურა, სპორტი***

- *გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა*

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (9 საბავშვო ბაღი), 4 მუსიკალური და 1 სამხატვრო სკოლის 181 ბენეფიციარი, მათ შორის 89 პედაგოგი, 92 ტექნიკური პერსონალი.

ბიუჯეტმა შეადგინა 334 800,0 ლარი, ხარჯი - 166 200,0 ლარი.

- *,,წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა“*

საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა 166 განცხადება, პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით დაფინანსდა 113 წარმატებული ახალგაზრდა აფხაზეთიდან.

ბიუჯეტმა შეადგინა 103 000,0 ლარი, ხარჯი - 64 569,0 ლარი.

- *აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერა*

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდააფხაზეთის საჯარო სკოლის 5 პედაგოგი.

ბიუჯეტმა შეადგინა 17 500,0 ლარი, ხარჯი - 10 500,0,0 ლარი.

- *აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია*

ქვეპროგრამის ფარგლებში სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ქიმიური ექსპერტიზის სამაგისტრო პროგრამის I კურსის სტუდენტს მიენიჭა ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია.

ბიუჯეტმა შეადგინა 2 850,0 ლარი, ხარჯი - 1 200,0 ლარი.

- *,,სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“*

2021 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ განიხილა გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ წარმოდგენილი ოკუპირებული გალის რაიონის 30 სკოლის და სსიპ აფხაზეთის N15 საჯარო სკოლის განაცხადი, შედეგად:

– ქვეპროგრამის მეორე კვარტლის ბიუჯეტის გათვალისწინებით მოხდა გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან მიღებული საკანცელარიო ნივთების ჩამონათვალის დაზუსტებული რაოდენობის შესაძენად ბაზრის კვლევა, შეძენა და გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის გადაცემა;

– სსიპ აფხაზეთის N15 საჯარო სკოლას ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟებისთვის გამოეყო 18 061,52 ლარი.

ბიუჯეტმა შეადგინა 35 000,0 ლარი, ხარჯი - 19 935,18 ლარი.

- *ფოტოგამოფენა „კადრები აფხაზეთიდან“*

ფოტოგამოფენა გაიმართა ქ. თბილისში, მზიურის პარკში. დამთვალიერებლებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია აფხაზეთში ქართული არიტექტურული ძეგლების, ურბანული განაშენიანების, საფორტეფიკაციო ნაგებობების, სარეკრიაციო ზონების წარმომავლობის, აფხაზეთის გამოჩენილი სპორტსმენების და ხელოვნების დარგის შესახებ.

ბიუჯეტმა შეადგინა 4 000,0 ლარი, ხარჯი - 4 000,0 ლარი.

- *სალექციო კვირეული „აღმოაჩინე აფხაზეთი“*

ჩატარდა ლექციები თემაზე:

–,,აფხაზეთი - ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ უძველეს რუკებზე‘‘;

–,,აფხაზეთი შუა საუკუნეებში - აფხაზთა სამეფო".

აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლებსა და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს უმასპინძლაკორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი / National Centre of Manuscripts-მა.

ცენტრში მოწვეულ მოსწავლეები და სტუდენტები გაეცვნენ აფხაზეთის უძველესი ხელნაწერებს, ასევე ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოქმედი სარესტავრაციო ლაბორატორიის საქმიანობას და ქაღალდის აღდგენის ვორქშოპში.

ბიუჯეტმა შეადგინა 10 000,0 ლარი, ხარჯი - 1 820,0 ლარი.

- *ქვეპროგრამა ,,სამეცნიერო კონფერენცია“*

2021 წლის 24-25 ივნისს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრთან ერთად გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე: საქართველო და საერთაშორისო გამოცდილება‘‘. აღნიშნული ღონისძიების სრული დაფინანსება უზრუნველყო შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა.

## ეკონომიკური სფერო

2021 წლის I ნახევარში აფხაზეთის ა/რ მთავრობის დაქვემდებარებაში იყო 52 საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომელთაგან 24 ფინანსდებოდა აფხაზეთის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, 28 – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2 ორგანიზაცია იყო არასამეწარმეო.

**ცხრილი N 11** აფხაზეთის საბიუჯეტო ორგანიზაციების მონაცემები შრომის შესახებ. 2021 წ. 6 თვეში

| დაფინანსება | დასაქმებული პერსონალი | დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება | საშ. თვ. შრომის ანაზღ. |
|---|---|---|---|
| | კაცი | ათასი ლარი | ლარი |
| აფხაზეთის რესპ. ბიუჯეტიდან | 907 | 3 583,9 | 1 085,7 |
| საქართველოს ბიუჯეტიდან | 1 122 | 3 259,1 | 968,2 |
| ***სულ*** | ***2 029*** | ***6 843,0*** | ***1 037,9*** |

## ქონების მართვა და პრივატიზება

აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროში 2021 წლის მარტში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტი. აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2021 წლის 26 თებერვლის N12 დადგენილებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტო", რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების სარგებლობაში გადაცემა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს ***გადმოეცა:***

| ვის მიერ გადმოეცა | ქონება | რ-ობა | ჯამური ღირებულება |
|---|---|---|---|
| აფხაზეთის ა/რ იგპ-თა - დევნილთა სამინისტრო | ავტომანქანა RENAULT MEGANE, სახ. ნომრით VU150VU, გამოშვების წელის 2017 წ. | 1 | საწყ. საბალ. ღირ-ბა - 39 100,0 ლარი ნარჩენი ღირ-ბა -23 851,0 ლარი |
| აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი სამინისტრო | ავტომანქანა MITSUBISHI PAJERO IO, სახ. ნომრით CC318LL, გამოშვების წელი 1999 წ. | 1 | საწყ. საბალანსო ღირ-ბა 11 070,0 ლარი ნარჩენი ღირ-ბა 4 541,40 ლარი |

*სააგენტოს მიერ* ***გადაეცა:***

| ვის გადაეცა | ქონება | რ-ობა | ჯამური ღირებულება |
|---|---|---|---|
| აფხაზეთის ა/რ იგპ-თა - დევნილთა სამინისტრო | TOYOTA CAMRY, სახ. ნომრით TU897UT, გამოშვების წელის 2010 წ. | 1 | საწყ. საბალ. ღირ-ბა - 20 809,10 ლარი ნარჩენი ღირ-ბა - 18 478,48 ლარი |

**სხვა სამუშაოები:**

- სააგენტო ახორციელებდა სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვას, მათი ხელშეწყობის მიზნით წლიური და კვარტალური ანგარიშების ანალიზისა და, ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას საწარმოების მიერ მოთხოვნილი (რეინვესტირებული) თანხის მიზნობრივ გამოყენებაზე;
- შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა საწარმოთა 2020 წლის და 2021 წლის I კვარტლის ფინანსური ანგარიშები;
- შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა (კორექტირებული, რეალური შემოსავლების გათვალისწინებით) საწარმოების 2021 წლის ბიზნეს გეგმები;
- საწარმოთა რეაბილიტაციის, განვითარებისა და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით 2020 წლის მოგებიდან (90 486,67 ლარი) რეინვესტირებულმა თანხამ შეადგინა 52 774,31 ლარი. ბუჯეტში მისამართი (დაუბეგრავი) თანხა შეადგენს 37 712,36 ლარი;
- ხორციელდებოდა პროგრამა ,,ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული სახელმწიფო უძრავი ქონების საკადასტრო აღწერა", რომელიც მიზნად ისახავს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული სახელმწიფო უძრავი

ქონების შესაბამისი წესით სსიპ ,,საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში|რეგისტრაციას. პროგრამის ფარგლებში მოძიებულ იქნა რამდენიმე უძრავ ქონებაზე პირველადი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია (ესპლიკაცია, ორთო, ფოტო და სხვ.).

აფხაზეთის ა/რ მთავრობის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 2 სამედიცინო დაწესებულება სამეგრელო-ზემო სვანეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლებთან ერთობლივად აწარმოებს აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ მოქალაქეთა ტესტირებას. *შპს ,,აფხაზეთიდან იგპ-თა ზუგდიდის პოლიკლინიკის“* თანამშრომლები მორიგეობენ მდ. ენგურის ხიდთან საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. *შპს ,,აფხაზეთიდან იგპ-თა ჯვარის ამბულატორიის“* თანამშრომლები მორიგეობენ საბერიო-წყოუშას გადასასვლელთან. 2021 წლის I ნახევარში ტესტირება ჩაუტარდა სულ 2 300-ზე ადამიანს, საიდანაც 55-ს დაუდგინდა კოვიდინფექცია, თერმოსკრინინგი ჩაუტარდა 3030 პირს.

## აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილით შექმნილი სამედიცინო დაწესებულებების 2020 წლის I ნახევრის ფინანსური შედეგები

საანგარიშო პერიოდში ფუნქციონირებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაფუძნებული სამედიცინო პროფილის შეზღუდული პასუხისმგებლობის 12 საწარმო.

საწარმოთა საქმიანობის ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით 2021 წლის I ნახევრის ეკონომიკური მაჩვენებლები შედარებულ იქნა 2020 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებთან.

2021 წლის I ნახევრის ფაქტიური შემოსავლების საერთო თანხამ 1 350 216 ლარი შეადგინა, რაც გეგმიურ შემოსავლებზე (1 086 138 ლარი) 264 078 ლარით (ანუ 24,3%-ით) მეტია, ხოლო 2020 წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ შემოსავლებთან (1 137 179 ლარი) შედარებით კი 213 037 ლარით (18,7 %-ით) გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდში მთლიანმა ფაქტიურმა დანახარჯებმა 1 236 592 ლარი შეადგინა, ანუ გეგმით გათვალისწინებულზე (1 044 009 ლარი) 192 583 ლარით მეტი, ხოლო 2020 წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ დანახარჯებთან (1 103 845 ლარი) შედარებით 132 747 ლარით გაიზარდა.

2021 წლის I ნახევარში დაგეგმილი იყო 42 129 ლარის მოგება. ფაქტობრივად საწარმოების ჯამური მოგების თანხამ შეადგინა 113 624 ლარი, ანუ 71 495 ლარით (169,7 %-ით) მეტი. 2021 წლის შესაბამის პერიოდის ფაქტიურ მოგებასთან (35 923 ლარი) შედარებით მოგების მაჩვენებელი გაიზარდა 77 701 ლარით (216,3 %-ით).

**ცხრილი N 12** საწარმოების ფინანსური მაჩვენებლების შეხდარება 2021/6თვე-2020/6თვე



ამ პერიოდში სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დაფინანსება 835 505,0 ლარს შეადგენდა (მთელი შემოსავლების 61,9%); შიდა სტანდარტით მიღებული შემოსავლები - 321 230,0 ლარია (23,8%), ხოლო სხვა შემოსავლები - 193 481,0 ლარი (14,3%). საანგარიშო პერიოდში კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთარი შემოსავლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 99 699,0 ლარით (ანუ 45,0%-ით) გაიზარდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს-ებში 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით დასაქმებული იყო 361 კაცი, რომელთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 397,27 ლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში შრომის ანაზღაურების სახით გაიცა 860 490 ლარი, ხოლო რესპუბლიკურ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის სახით მიიმართა 155 947 ლარი.

საანგარიშო პერიოდში რენტაბელობის საერთო მაჩვენებელი 9,2%-ს შეადგენს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან (3,3%) შედარებით 5,9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. რენტაბელობის საუკეთესო მაჩვენებლად ითვლება 10-11 %.

**საქვეუწყებო-დაწესებულება აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი**

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის საქმიანობა მიმართული იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებისა და ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აგრარულ სფეროში დასაქმებული ფერმერების ხელშეწყობაზე.

2021 წლის 6 თვეში:

- დასრულდა აფხაზეთიდან დევნილ ბენეფიციართა საკუთრებაში არსებულ 0,5 ჰა-ზე მეტი მიწის ფართობის მონაცემთა ელექტრონული ბაზის დამუშავება;
- GGP ადამიანის უსაფრთხოების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ელექტრონული ფოსტით მასალები მიწოდებულ იქნა იმ დევნილ ბენეფიციარებისთვის, რომელთა მონაცემები დამუშავებული იყო ელექტრონულ ბაზაში. „გერმანიის თანამშრომლობის (GIZ-ის) მიერ გამოცხადებულ მცირე ფერმერთა უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი აღჭურვილობის წვდომის გაუმჯობესებაზე საგრანტო კონკურსში“ მონაწილეობის მისაღებად მასალები გადაეგზავნა იმ დევნილ ბენეფიციარებს, რომლებზეც სატელეფონო და ონლაინ კავშირით მოხერხდა დაკავშირება და რომელთაც სურვილი გამოთქვეს მონაწილეობის მიღებაზე (თეთრიწყაროს, წალკის, კასპისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები);
- ,,დანიის ლტოლვილთა საბჭოს“ (დლს)-ს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მასალები მიეწოდა მარტვილის, ზუგდიდის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ დევნილ ბენეფიციარებს, რომლებმაც გამოთქვეს მზადყოფნა ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღებაზე. ზემოხსენებული პროგრამა მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები იგპ-თა დახმარების პროგრამაში მონაწილეობას;
- მონაცემთა ბაზაში ასახული ელექტრონული ფოსტის მქონე ბენეფიციარებს მიეწოდა ინფორმაცია ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი საგრანტო პროგრამის, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (FAO) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შესახებ, სადაც იწვევდნენ დამწყებ და მოქმედ ბიზნესმენებს არასასოფლო-სამეურნეო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად;
- დეპარტამენტის სპეციალისტები მონაწილეობდნენ თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს TIKA-ს მიერ ინიცირებულ ,,დაფნის

გაშენების“ პროგრამის მოსამზადებელ სამუშაოებში. დეპარტამენტმა TIKA-თან ერთად მოამზადა შესაბამისი დასკვნა ,,დაფნის პროექტი“-ს განხორციელებისათვის მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით;

- გარკვეული სამუშაოები ჩატარდა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოსთან (TIKA) მეფუტკრეობის დარგში დასაქმებულ იგპ და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა პროფესიულ უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და მათი შემოსავლების ზრდის ხელშეწყობაზე. შემუშავდა სამოქმედო გეგმა და მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია;
- კონსულტაციები და პრაქტიკული დახმარებები გაეწია დევნილ და ეკომიგრანტ მეფუტკრეებს სამკურნალო და პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებსაც წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში, „ფარავანის“ და „საღამოს“ ტბის მიდამოებში საზაფხულო პერიოდში გადაყვანილი ჰყავდათ თავიანთ საკუთრებაში არსებული ფუტკრის ოჯახები;
- შემუშავებული ფორმატის მიხედვით, პარალელურად მიმდინარეობდა ოკუპირებული აფხაზეთის სოფლებში გავრცელებული ნიადაგების ფიზიკო-ქიმიური მონაცემების შესწავლა-დამუშავება, მომავალში ელექტრონული ბაზის შექმნის მიზნით;
- ხორციელდებოდა მონიტორინგი ოკუპირებულ ტერიტორიაზე გალის, ნაწილობრივ ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის საჭირო მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარული სერვისების მიწოდების ხელშეწყობისთვის;
- შემუშავდა მიზნობრივი პროგრამა „მცენარეთა დაცვითი ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა,“ რომლის სრული პაკეტი განხორციელებისთვის გადაეცა სსიპ „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს“. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 14 მაისის N79-9 ბრძანების შესაბამისად, აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა 5000 ლიტრი ბიფიტრინის შემცველი ინსექტიციდი „ზონდერი,“ საბალანსო ღირებულება 133 250 ლარი. აღნიშნული პრეპარატი გადატანილ იქნა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადმინისტრაციული საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობაზე გასანაწილებლად. მოწოდებული ინფორმაცით მოსახლეობამ პირველადი წამლობა ჩაატარა ფუნგიციდებით სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ, ასევე მე-2 კვარტალში ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები ტკიპის საწინააღმდეგო ქიმიური ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებით;
- მიმდინარეობდა გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე (25 სოფელი) მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებაში მყოფ შინაურ ცხოველთა, ფრინველთა და ფუტკართა ოჯახების რაოდენობის მონაცემების განახლება. საპროფილაქტიკო-სამკურნალო გეგმიური და არაგეგმიური ვეტღონისძიებების განხორციელებისთვის შემუშავდა მიზნობრივი პროგრამა „საშიში ინფექციური (ზოონოზური) დაავადებების საწინააღმდეგოდ იმუნიზაციის ჩატარებისა და ეპიზოოტური კეთილსაიმედობის შენარჩუნების პროგრამა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე,“ პროგრამის განსახორციელებლად შერჩეულ იქნა ვეტმედიკამენტების სახეობები (დანიშნულების მიხედვით) და რაოდენობა. განხორციელდა წინასწარ შერჩეულ ვეტ-პრეპარატების შესყიდვისთვის ბაზრის კვლევა, აგრეთვე მომზადდა შესყიდვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია. მიზნობრივი პროგრამის სრული პაკეტი და მომზადებული დოკუმენტაცია გადაეცა სსიპ „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს“. საპროფილაქტიკო სამუშაოები და სამკურნალო ღონისძიებები ჩატარდა სხვადასხვა დაავადებებზე. იმუნიზაცია ჩაუტარდა თურქულზე 7 200 სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ჯილეხზე - 3 000 სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ნოდულარულ

დერმატიტზე - 5 000 -მდე სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ცოფზე - 5 000 -მდე ძაღლს და კატას;

- დეპარტამენტის სპეციალისტები მონაწილეობდნენ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ოკუპირებული გალის რაიონში მიმდინარე წელს ჩასატარებელი ღონისძიებების დაგეგმარებაში;

მიმდინარე წლის იანვარში ოკუპირებულ ტერიტორიის რიგ სოფლებში (ნაბაკევი, რეფი, ქვემო ბარღები, ზემო ბარღები, სიდა) გაჩნდა ხანძარი. მოსახლეობას მიადგა მატერიალური ზარალი - დაზიანდა მრავალწლიანი ნარგავები, თხილის პლანტაციები. სტიქიით დაზარაბულთა დასახმარებლად აფხაზეთის ა/რ მთავრობაში შექმნილ შესაბამის კომისიას მიეწოდა დაზარალებულ ბენეფიციართა მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია მიყენებული ზარალის შესახებ.

2021 წლის დასაწყისში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად დეპარტამენტში შეიქმნა გარემოს დაცვისა და სატყეო სამმართველო.

საანგარიშო პერიოდში:

- სამმართველომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან და არასმათავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობასთან“ ერთად მიიღო მონაწილეობა 22 აპრილს დედამიწის დღე და 22 მაისს წყლის დაცვის დღისთან დაკავშირებით ჩატარებულ დასუფთავების აქციებში;
- ორგანიზება გაკეთდა დევნილ აქტივისტებს და ახალგაზრდებს, თბილისის ზღვისა და დიდი დიღმის ტერიტორიაზე დასუფთავების აქციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით;
- კონკურსის ''სუფთა რეგიონი-2021'' გამოცხადების დღიდან დაიწყო მუშაობა „ლამაზი ეზოს“ ნომინაციაში დევნილი მოსახლეობის ჩართვასა და მონაწილეობასთან დაკავშირებით;
- გარემოს დაცვის დღესთან დაკავშირებით დეპარტამენტის სპეციალისტებმა მიიღეს მონაწილეობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში;
- მოძიებულ და გაანალიზებულ იქნა ინფორმაცია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ტყის ფონდის შესახებ;
- ქ. თბილისის მერიის გამწვანების სამსახურის ჩართულობით, 2021წ. 7-8 მაისს დეპარტამენტმა უზრუნველყო ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ.N181 ''ა'' ტერიტორიის გამწვანების სამუშაოები.

### სსიპ „პროგრამებისა და სერვისების მართვის სააგენტო“

აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის N11 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს" რეორგანიზაცია და მის ბაზაზე შეიქმნა სსიპ „პროგრამებისა და სერვისების სააგენტო'', რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 2021 წლის 22 მარტიდან და მისი საქმიანობის პრიორიტეტებად განისაზღვრა აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით დარგობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, განხორციელება და ეფექტური მართვა, დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა და სხვადასხვა სახის

დარგობრივი სერვისების შემუშავება, დანერგვა და მიწოდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სააგენტოს მიერ საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამები:

- „აფხაზური ეთნოკულთხისა და კოლხური ბზის სადემოსტრაციო უბნის მოწყობა-ფუნქციონირება“

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ტერიტორიის გაწმენდა და ნარჩენების გატანა. მომზადდა ტერიტორიის სიტუაციური ნახაზი, რომელიც მიეწოდა სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს, რათა მოხდეს შესაბამისი ცვლილება უზრუფრუქტის ხელშეკრულებაში და ასევე განხორციელდეს ტერიტორიის სტატუსის ცვლილება.

- „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა მრავალწლიანი კულტურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად“

პროგრამის მიზანია აფხაზეთიდან დევნილთა დასაქმება და მათი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა დაფნის ნერგებისა წარმოება-რეალიზაციის გზით, კერძოდ, ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ხამისქურში სააგენტოს ბალანსზე არსებულ მიწის ფართობზე (ს/კ 49.19.22.025) მოწყობილ დაფნის სანერგეში გაგრძელდება ნერგების გამოყვანისა და მათი მოვლა-პატრონობის პროცესი. შეძენილ იქნა აგროტესტილი სარეველების გავრცელების პრევენციის მიზნით, სხვადასხვა სასუქები, ასევე საჩითილე კონტეინერები სადაც ჩაითესა დაფნის თესლი.

ამჟამად დაფნის სანერგე ინფრასტრუქტურულად სრულად არის მოწყობილი და უზრუნველყოფილია სახარჯი მასალით, მიმდინარეობს დაფნის ნერგების გამოყვანის პროცესი.

- დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა ერთწლიანი კულტურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად“

გაიწმინდა შერჩეული ტერიტორია. სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული მიწის ფართობი გასცეს მრავალწლიანი იჯარით, ხოლო მოიჯარეს ვალდებულებად დაეკისრება იგპ-თა მოწყვლადი ჯგუფების დასაქმება.

- „ახალი კორონავირუსის (COVID-19) საპრევენციო ღონისძიებების ხელშეწყობა“

პროგრამის მიზანია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიიდან გადმოსული დევნილებისათვის ცალკეული პრევენციული მომსახურების გაწევა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით.

ამ მიზნით, საანგარიშო პერიოდში შესყიდულ იქნა სხვადასხვა საქონელი და მომსახურება, რომელიც მიმართულ იქნა სამეგრელოს რეგიონში არსებული პოლიკლინიკების მხარდაჭერისთვის, რომლებიც ახორციელებენ პრევენციულ ღონისძიებებს. ათასობით დევნილმა მიიღო მომსახურება კორონავირუსის წინააღმდეგ გატარებული პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში.

- „დევნილების ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა“

პროგრამის მიზანია იგპ-თა მცირე ბიზნესის (მათ შორის აგრარული მიმართულებით) მხარდაჭერა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური მცირე აქტივებით უზრუნველყოფის გზით. პროგრამა მეტად მასშტაბურია, მოითხოვს წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებს. პროგრამის კოორდინატორისა და სააგენტოს სპეციალისტების მიერ მომზადდა სამოქმედო გეგმა.

- „დევნილების კოლექტიურ ცენტრებში დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებების გატარება“

პროგრამის მიზანია კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები დევნილების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მცირე საამქროებისა და მომსახურების სერვისების ობიექტების მოწყობა.

პროგრამა პილოტურია, მოითხოვს წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებს. პროგრამის კოორდინატორისა და სააგენტოს სპეციალისტების მიერ მომზადდა სამოქმედო გეგმა, შესყიდულ იქნა ცალკეული ინვეტარი.

- ქ.ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ,,აფხაზური ხეივნის" მოწყობა

აფხაზეთის უნიკალური ფლორა 300 სახეობის ენდემურ სახეობას ითვლის. მისი შესწავლისა და აფხაზეთის ენდემურ მცენარეთა კოლექციის შეგროვების, გამრავლებისა და გავრცელების მიზნით გადაწყდა ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში შეიქმნას აფხაზეთის ენდემური ფლორის საკოლექციო ნაკვეთები, ე.წ. ფლორისტული კუთხე, აფხაზეთის ენდემური მცენარეების 40-მდე სახეობით.

აფხაზეთის ენდემური მცენარეების კუთხის შექმნას მნიშვნელოვანი სამეცნიერო - საგანმანათლებლო დატვირთვა აქვს. მისი პრიორიტეტი ,,წითელ წიგნში" შეტანილი აფხაზეთის ენდემური ჯიშების გამრავლება და გახარებაა. აქ წარმოჩინდება კოლხეთის ფლორის მრავალფეროვნების ელემენტები. მოსწავლე-ახალგაზრდობა და ყველა დაინტერესებული პირი გაეცნობა აფხაზეთის უნიკალურ ენდემურ მცენარეებს. ის იქნება ეკოგანათლების მნიშვნელოვანი ბაზა, რომელიც ხელს შუწყობს მომავალი თაობების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას.

მომზადებულია აფხაზური ხეივნის პროექტი, ჩატარებულია ბაზრის კვლევა, მოძიებულია ენდემური მცენარეები. მ.წ შემოდგომაზე იგეგმება ხეივნის გაშენება.

ასევე მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგ პროგრამებზე:

- „დევნილ ფერმერთა მხარდაჭერა"
- „საშიში ინფექციური (ზოონოზური) დაავადებების საწინააღმდეგოდ იმუნიზაციის ჩატარებისა და ეპიზოოტური კეთილსაიმედობის შენარჩუნების პროგრამა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე"
- „მცენარეთა დაცვითი ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა"
- „მდ. ენგურის ე.წ. „გამყოფი ხაზის" ორივე მხარეზე მცხოვრებ ფერმერთა შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა "
- შავი ზღვის სანაპირო ზოლის ოკუპირებული აფხაზეთის მონაკვეთზე ანთროპოგენიული ზემოქმედების შედეგების ანალიზი, მართვის სტრატეგია და სენსიტიურ უბნებზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მეთოდები.

**სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნესინკუბატორი"**

2021 წლის დასაწყისისათვის სსიპ "ბიზნესინკუბატორის" სარგებლობაში არსებული ფართებიდან მეწარმეებთან გაფორმებული იყო 20 ხელშეკრულება. საანგარიშო პერიოდში ორ ინდმეწარმესთან შეწყდა ხელშეკრულება, ხოლო აუქციონის წესით 5 გამარჯვებულთან გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება (ფართი- არასასოფლო-სამეურნეო მიწა - 1 445 კვ.მ, შენობა-ნაგებობა - 1 714 კვ.მ).

უძრავი ქონების მართვის შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში განხორციელდა სამრეწველო ფართების გამიჯვნა და საიჯარო ხელშეკრულებების საჯარო რეესტრი დარეგისტრირება.

სსიპ ,,ბიზნესინკუბატორი" და შპს ,,სტუდენტური ტურისტულ კომპანია ,,All In Georgia" ახროციელებენ პროექტს ,,სტაჟირებისა და სამუშაო ადგილზე სწავლის შესაძლებლობის ხელშეწყობა სტუდენტებისათვის".

სსიპ „ბიზნესინკუბატორ"-ში გრძელდება სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 4 წლიანი საგრანტო პროექტის განხორციელება, რომლის მიზანია ავტომატური მართვის მექანიზმით აღჭურვილი,

ენერგოდამზოგი და უსაფრთხო, მასობრივი მოხმარების ქარძრავის წარმოება. საგრანტო პროექტის ფარგლებში, სსიპ ბიზნესინკუბატორში დამატებით დასაქმებულია 9 ადამიანი. სულ 2021 წლის 6 თვეში დასაქმებული იყო 22 პირი.

სსიპ „ბიზნესინკუბატორის" მოიჯარე კომპანიებში დასაქმებულია 100-მდე ადამიანი, მათ შორის 18 დევნილი. თუმცა საქართველოში და მსოფლიოში განვითარებული, COVID-19-თთან დაკავშირებული მოვლენების შედეგად, მოიჯარეების საქმიანობების ნაწილობრივი (ზოგმა სრულად) შეწყვეტა აისახა ბიზნესინკუბატორის შემოსავლების ნაწილში. რთული მდგომარეობა აქვთ სასათბურე კონსტრუქციების მოიჯარე ფიზიკურ პირებსაც.

**ცხრილი N 13** სსიპ ,,ბიზნესინკუბატორის"ფინანსური მაჩვენებლები 2021 წლის 6 თვეში

| | *ლარი* |
|---|---|
| შემოსავლები იჯარიდან | 42 569,48 |
| გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში | 20 108,65 |
| – *მ.შ. საშემოსავლო გადასახადი* | *13 156,20* |
| პერსონალის სახელფასო ფონდი | 89 700,0 |
| – *მ.შ. საგრანტო პროექტით* | *39 300,0* |

სსიპ ,,ბიზნესინკუბატორის" მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათი მენეჯმენტი მუდმივად ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მონიტორინგს.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურისა და მინისტრის 2020 წლის 23 ივლისის №01/37 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ გამოვლინდა არაერთი დარღვევა სსის ,,ბიზნესინკუბატორის" მხრიდან არამიზნობრივად გამოყენებასთან, იჯარით გაცემული ქონების განკარგვის პროცესში სახელმწიფოსა და სამინისტროს წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან, სახელმწიფო ქონების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამოყენებასთნ დაკავშირებით. ასევე გამოიკვეთა შიდა აუდიტის მიერ აუდირებულ პერიოდში ხელმძღვანელი პირების მხრიდან ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტები და სხვა სახის დარღვევები. მასალებით გამოვლინდა, რომ ,,ბიზნესინკუბატორის" მენეჯმენტი ვერ უზრუნველყოფდა სსიპ-ის განვითარებას და ძირითადი ფუნქციების ჯეროვნად აღსრულებას.

აღნიშნული დარღვევების თაობაზე ,,ბიზნესინკუბატორის" ხელმძღვანელობას მიეცა არაერთი მითითება სამინისტროს მიერ, თუმცა, მათ მიერ არცერთი მათგანი არ ყოფილა გათვალისწინებული. ამასთანავე, ხელმძღვანელი პირების მიერ გამოხატული არაკონსტრუქციული, ხშირ შემთხვევაში, კონფრონტაციული დამოკიდებულების გამო, კონტროლი სამინისტროს მხრიდან ფაქტობრივად ვერ ხორციელდებოდა, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახა სსიპ-ის საქმიანობაზე.

შექმნილი მდომარეობის შესახებ ინფორმაცია 2020 წლის 7 აგვისტოს N423/01 წერილით, ეცნობა აფხაზეთის ა/რ მთავრობას. გამომდინარე აქედან, აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2021 წლის 12 ივლისის სხდომაზე ,,ბიზნესინკუბატორის" მოვალეობის შემსრულებელი ალუ გამახარია განთავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან (ამონაწერი აფხაზეთის მთავრობის 2021 წლის 12 ივლისის სხდომის #12 ოქმიდან).

## აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა

საანგარიშო პერიოდში:

შექმნა ონლაინ ბიზნეს კატალოგი, სადაც მეწარმეების პროდუქციასთან ერთად წარმოდგენილია მეწარმეების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, მათი საქონტაქტო, ელ. ფოსტისა და ვებ. გვერდების მისამართები. არსებული ბიზნეს კატალოგითა და ინტერნეტ მაღაზია „Tutashop.ge„-თი უკვე ისარგებლა 50-მდე ინტერნეტმომხმარებლებმა;

- მოამზადა პროექტი "მცირე ბიზნესის ხელშეწყობა“, რომლის განხორციელებისათვის სულ მოთხოვნილია 300 000 ლარი. თანხის მოპოვების შემთხვევაში არსებული თანხა გადანაწილდება მეწარმეებზე 5000-15000 ლარამდე გრანტების სახით დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრები დევნილი მეწარმეების მხარდასაჭერად, რათა მათ შეიძინონ ბიზნეს საქმიანობისათვის საჭირო ფართი ან ინვენტარი;
- სატელეფონო კომუნიკაციების საშუალებით ან მიმოწერით მეწარმეებს უწევდა კონსულტაციებს მათთვის საინტერესო საკითხებზე;
- პალატამ ჩაატარა ელექტრონული კომერციის შესაძლებლობების შესახებ ტრენინგი, სადაც მეწარმეებმა მიიღეს საბაზისო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ელ. კომერციის დაწყებისა და განვითარებისათვის. აღნიშნულ ტრენინგში აქტიურად იყვნენ ჩართულები აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეები;
- ჩაატარა სასწავლო ტრენინგი თემაზე: „საგრანტო პროექტების წერის შემსწავლელი კურსი“, სადაც მონაწილეობდნენ როგორც ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოსული სტუდენტები, ასევე აფხაზეთიდან დევნილობაში მყოფი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. გამარჯვებულ სტუდენტთა გუნდს ტრენინგის დასასრულს გადაეცათ პორტატული პერსონალური კომპიუტერები (ნოუთბუქები), ხოლო დანარჩენ მონაწილეებს სამახსოვრო საჩუქრები. აფხაზეთის ა/რ სავაჭრო სამრეწველო პალატასთან ერთად ტრენინგის განხორციელების მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა, მიუნხენისა და ზემო ბავარიის პალატის წარმომადგენლობა საქართველოში, აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე დაიწყო პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები გადიან პრაქტიკულ სწავლებას აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების საწარმოებში.
- მონაწილეობა მიიღო საქართველო-ირლანდიის ბიზნეს საბჭოს კონფერენციზე.

გაიმართა ონლაინ შეხვედრა პალატის წარმომადგენლებსა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს (Danish Refugee Council) საქართველოს წარმომადგენლობის პროგრამების ხელმძღვანელ ქალბატონ ნინო ხოხობაიას შორის. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს თავიანთი საქმიანობა და მიმდინარე პროექტები, ისაუბრეს სამომავლო გეგმებსა და თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

მცირე ბიზნესის მატერიალური მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში აფხაზეთიდან დევნილმა ინდ. მეწარმე ია ხარჩილავამ დამატებით შეიძინა ახალი სამკერვალო ტექნიკა, რომლის მეშვეობით გააფართოვა უკვე არსებული საწარმო, შექმნა დამატებითი სამუშაო ადგილები, დაასაქმა დევნილები და პანდემიის პირობებში კიდევ უფრო გააფართოვა თავისი წარმოების შესაძლებლობები.

აფხაზეთის ა/რ სავაჭრო სამრეწველო პალატისა და თურქეთის თანამშრომლობისა და კორდინაციის სააგენტოს (TIKA)-სთან თანამშრომლობით შედგა ტრენინგი აფხაზეთიდან დევნილი სამედიცინო სფეროში მომუშავე მედდებისათვის;

შედგა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობისა და აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლეთა ვიზიტი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში. დელეგაცია დაესწრო კაიროში საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებულ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ მიღებას. აფხაზეთის ა/რ წარმოდგენისათვის სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატამ წარმოადგინა აფხაზეთთან ასოცირებული კომპანიებისა და მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქცია, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოების მხრიდან.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის ხელმძღვანელობით შედგა ოფიციალური შეხვედრა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის, აფხაზეთის ა/რ სავაჭრო სამრეწველო პალატის წარმომადგენლებსა და ქ. ალექსანდრიას ბიბლიოთეკის ოფიციალურ წარმომადგენლებს შორის, რომელთაც დელეგაციის წევრებმა საჩუქრად გადასცეს წიგნები აფხაზეთის თემატიკაზე. აღნიშნული წიგნები განთავსდება ალექსანდრიის ბიბლიოთეკის საცავში და ხელმისაწვდომი იქნება ბიბლიოთეკის ყველა მომხმარებლებისთვის.

ეგვიპტეში ვიზიტით მყოფი დელეგაცია შეხვდა აბაზების ოჯახის წარმომადგენლებს. შეხვედრა ორგანიზებული იყო კაიროში საქართველოს საელჩოს მიერ. მხარეებმა ისაუბრეს შემდგომი ურთიერთობების განვითარების პერსპექტივების შესახებ.

## ა(ა)იპ საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:

- *<u>მცირე ბიზნესის მატერიალური მხარდაჭერის ქვეპროგრამა</u>*

დაკმაყოფილდა ი/მ გულადი ნაჭყებიას განაცხადი 1 141,0 ლარის ღირებულების მცირეფასიანი ინსტრუმენტების და ხელსაწყოების შესაძენად;

- *<u>მედიკამენტებზე და სამედიცინო მიწყობილობებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ქვეპროგრამა</u>*

დაკმაყოფილდა 10 ბენეფიციარი. ჯამურად განხორციელდა 2 746,40 ლარის ღირებულების მედიკამენტების და სამედიცინო მოწყობილობების შეძენა, ასევე, ორგანიზაციის მარაგებიდან ერთ-ერთ ბენეფიციარს გადაეცა ნებულაიზერი და ჯამურად გადაცემული მედიკამენტების და სამედიცინო მოწყობილობების ოდენობამ შეადგინა 2 826,40 ლარი;

- *<u>განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის ქვეპროგრამა</u>*

დაკმაყოფილდა უმაღლესი სასწავლებლების სამივე საფეხურის 7 სტუდენტი. სწავლის საფასურის საერთო თანხამ შეადგინა 4 435,0 ლარი;

- *<u>სტუდენტთათვის და ახალგაზრდა მეცნიერთათვის თამაზ ნადარეიშვილის სახელობის სტიპენდიის ქვეპროგრამა</u>*

გამოვლინდა 2 გამარჯვებული აპლიკანტი. თითოეულ გამარჯვებულს ჩაერიცხა 4 თვის სტიპენდია ჯამურად 600,0 ლარი, 150,0 ლარი თვეში (აქედან 30,0 ლარი ბიუჯეტით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადი);

- *<u>სტუდენტთათვის და ახალგაზრდა მეცნიერთათვის ლორიკ მარშანიას სახელობის სტიპენდიის ქვეპროგრამა</u>*

გამოვლინდა 2 გამარჯვებული აპლიკანტი. თითოეულ გამარჯვებულს ჩაერიცხა 4 თვის სტიპენდია ჯამურად 600,0 ლარი, 150,0 ლარი თვეში (აქედან 30,0 ლარი ბიუჯეტით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადი).

*ჯამურად გადაცემული სტიპენდიების თანხამ ორივე ქვეპროგრამის ფარგლებში შეადგინა 2400,0 ლარი.*

- *<u>კულტურისა და სპორტის ხელშეწყობის ქვეპროგრამა</u>*

ქვეპროგრამის ფარგლებში:

– დევნილ ხელოვანს გადაეცა 999,0 ლარის ღირებულების სამხატვრო ნივთები;
– დევნილ სპორტსმენს გადაეცა 1 900,0 ლარის სპორტული ინვენტარი;
– აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებს გადაეცათ 1 500,0 ლარის ღირებულების საკანცელარიო და საბავშვო ნივთები.

*ჯამურად გადარიცხულმა თანხამ შეადგინა სულ 4 399,0 ლარი.*

- *<u>დევნილთა ავადობის პრევენციის ქვეპროგრამა</u>*

19 წლის ბენეფიციარის მკურნალობისათვის გადაირიცხა 1 250,0 ლარი.

საანგარიშო პერიოდში დასაფინანსებელი ბენეფიციარების გამოსავლენად ქვეპროგრამების ფარგლებში ჩატარდა მუდმივმოქმედი კომისიის 9 სხდომა.

საკუთარი სახსრების მოძიების მიზნით:

- ფონდმა მონაწილეობა მიიღო USAID-ის პროგრამაში ,,2021 წლის დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამა“. პროექტი ემსახურება გამყოფი ზოლის სოფლებში მცხოვრები დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას მცირე ბიზნესის სტარტაპების და ასევე, კოვიდით გამოწვეული ზარალის გამო შეჩერებული ბიზნესის აღდგენას. ბიუჯეტი განისაზღვრა 50 000 აშშ დოლარის ფარგლებში;
- გაკეთდა განაცხადი ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სტრატეგიია და განვითარების ცენტრის (GCSD) მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროგრამაზე, რომლის ფარგლებში იგეგმება გურიის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების აქტივიზაციის და ჩართულობის გაზრდა ,,ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ თანამშრომლობით. პროექტის ბიუჯეტმა შეადგინა 65 502,10 ლარი;
- საინფორმაციო შეხვედრები შედგა იაპონიის საელჩოს თანამშრომლებთან ადამიანის უსაფრთხობეის საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.ფონდის მიერ შეთასვაზებული პროექტი ეხებოდა აფხაზეთიდან დევნილი და გამყოფი ხაზის მიღმა, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოწყვლადი პირებისათვის მაღალტექნოლოგიური, მოლეკულურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის განთავსებას, რომელიც მოემსახურება COVID-19-ის PCR ტესტირებას და, საჭიროებებიდან გამომდინარე, პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდზე დაფუძნებულ სხვა კვლევებს.

სამინისტრო პირველი დღიდანვე არის ჩართული და აქტიურად აგრძელებს მუშაობას 2021 წლის იანვრის თვეში ენგურის გაღმა, გალის რ-ნის ტერიტორიაზე (სოფ.ნაბაკევი, რეფი, ქვემო ბარღები, ზემო ბარღები, სიდა) გაჩენილი ტყის ხანძრების მიერ დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით შექმნილი აფხაზეთის ა/რ სამთავრობო კომისიის მიერ დაგეგმილი ღონისძიების განხორციელებაში.

სამინისტროს საქმიანობის პრიორიტეტების ნუსხაში გამოკვეთილი ადგილი უკავია, ძირითადი საქმიანობის პარალელურად, აფხაზეთის ა/რ მთავრობის, საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისო საგანგებო მდგომარეობის მართვის შტაბის გადაწყვეტილებების და სამედიცინო სამსახურების რეკომენდაციების მაქსიმალური დაცვით აქტიურ ჩართვას კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებებში.

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებმა 2021 წლის I ნახევარში შეადგინა სულ 9 818, 648 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 473,955 ათასი ლარი) 103,6%-ია.

**ცხრილი N 14** 2021 წლის 6 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

| დასახელება | 2021 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა | 2021 წლის 6 თვის საკასო ხარჯი | შესრულება%-ში |
|---|---|---|---|
| *შემოსავლები* | *9 473 955* | *9 818 648* | *103.6* |
| – გადასახადები | 4 781 955 | 5 157 189 | 107.8 |
| – გრანტები | 4 500 000 | 4 500 000 | 100 |
| – სხვა შემოსავლები | 192 000 | 161 459 | 84,1 |

ბიუჯეტის შევსების მთავარი წყაროებია ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი, რომელთა ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში 45,8 და 52,5 პროცენტს შეადგენს. დანარჩენ შემოსავლებზე მოდის 1,7 პროცენტი.

**დიაგრამა N 2** რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2021/6 თვე




წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა ბიუჯეტის შესრულების ყველა მაჩვენებელი. კერძოდ:

შემოსავლები - 749 707,0 ლარით ანუ 8,3%-ით; მათ შორის:

- გადასახადები - 219 076,0 ლარით ანუ 4,4 %-ით;
- გრანტების მოცულობა - 500 000,0-ით ანუ 12,5%-ით;
- სხვა შემოსავლების მოცულობა - 30 631,0 ლარით ანუ 23,4%-ით

**დიაგრამა N 3** რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების შედარება 2021/6 თვე -2020/6 თვე




საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული თანხა იყო 1 805 113,0 ლარი, საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული თანხა - 1 609 748,0 ლარი. 2021 წლის 6 თვეში გამოუყენებელმა თანხამ შეადგინა 195 365 ლარი.

2021 წლის 6 თვეში ***გადასახდელებმა*** შეადგინა 10 014 013,0 ლარი.

**ცხრილ N 15** 2021 წლის 6 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების მაჩვენებლები

| ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი | 2021 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა, ლარი | 2021 წლის 6 თვის ფაქტიური გეგმა, ლარი | შესრულება %-ში | მთლიანი ასიგნებების % | აუთვისებელი თანხა, ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| *გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი* | *11 134 110* | *10 014 013* | *89,9* | *100* | |
| • ხარჯები | 10 698 543 | 9 698 486 | 90,7 | 96,8 | 1 000 057 |
| – შრომის ანაზღაურება | 4 521 325 | 4 274 400 | 94,5 | 42,7 | 246 925 |
| – საქონელის და მომსახურება | 1 849 096 | 1 533 475 | 82,9 | 15,3 | 315,621 |
| – სუბსიდია | 2 363 170 | 2 240 276 | 94,8 | 22,4 | 122 894 |
| – გრანტები | 3 800 | - | - | - | 3 800 |
| – სოციალური უზრუნველყოფა | 1 186 620 | 1 105 350 | 93,2 | 11,0 | 81 270 |
| – სხვა ხარჯები | 774 532 | 544 984 | 70,4 | 5,44 | 229 548 |
| • არაფინანსური აქტივების ზრდა | 435 567 | 315 527 | 72,44 | 3,2 | 120 040 |